

1  
1957

საქართველოს  
ბიზლირთეხი



პყვავის ბუნება მზით და ვარდობით,  
ისმის სიმღერა აღცაცებული;  
მთელი მსოფლიოთ ახალგაზრდობის  
დღესასწაულით ზეიმობს გული!

№ 9 მაისი თბილისი 1957

**საქართველო**

საქართველოს ბიზლირთეხი XXXV მაისი 2 მან.

ქ

# საქართველოს მუშაკონკრ



— აბა, დაფაცურდით, სექცია იხსნება, აქედან გადაბარგდით!— მეზივით დაირხა ვაგონის გამყოლთა რიხიანი ხმა გრაკალის სადგურზე ჩამომდვარ გორი—თბილისის მატარებელში (№ 101) და ჩემოდან-კალათებით მშვიდად მოკალათებულ, ვასელის ზარის მომლოდინე მგზავრებს თავზარი დასცა.

— სად უნდა წავიდეთ ამ სიცივეში?  
— აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით!  
— ბილეთები აგვილია, კეთილინებონ და ჩავვიყვანონ თბილისში!— ისმის უკმაყოფილო მგზავრების ბუზღუნის, მაგრამ ამ ორომტრიალში ვინ რას გაიგებს? ბრძანებაა— გორიდან მომავალი მატარებლის შემადგენლობას მოხსნან სექცია და უკანვე გაგზავნონ ხაშურში. მორჩა და ვათავდა. ბრძანება კი რკინიგზაზე რკინისავით მყარია. გადაბარგებულ მგზავრთა ხელბარგს ბრავაბრუგი გაუდის, ვაგონები ისე გაიქედა, რომ ვაგონის გამყოლები ცოცხს ვერ მოიქნევენ, გულითაც რომ უნდოდეთ.

— გვიფრთხილდებიან, ამ შუა ზამთარში არ გაცვიდნენო. — ხუმრობს ერთი მგზავრთავანი, თუმცა არცთუ ისე სახუმაროდაა კარებთან გაკვეხებული.

საიდან უნდა იცოდნენ მგზავრებმა, რომ ეს განკარგულება ელმავლების დეპოს უფროსის ი. ჯაფარაშვილის თავში წარმოიშვა, შემდეგ მგზავრთა მომსახურების უფროსის მოადგილე კიპაშვილსაც კვუაში დაუჯდა. მაგრამ რისთვის? მართალია ი. ჯაფარაშვილს დიდი ჯაფა არ დადგომია, როცა ამ განკარგულების გაცემაზე ფიქრობდა, მაგრამ განა ყველას შეუძლია მატარებლების მოძრაობის რთულ ამბებში გაერკვეს?

აბა ვინ არ იცის, რომ ვაგონი ვაგონს უნდა მიუბა, რათა მატარებელი შედგეს, შემდეგ ელმავალი ჩაუბა, ვასელის ნიშანი მისცე და ჰაიდა! მაგრამ ის კი ბევრს ავიწყდება, რომ ვაგონების გადაბმ-გადმობმა რკინიგზაზე მომუშავე პიროვნებებზეა დამოკიდებული, რომლებიც ერთმანეთზე არიან ვადაბ-მულნი რანგისა და თანამდებობის მიხედვით. ჯაფარაშვილმა და კიპაშვილმა ისიც კარგად იციან, რომ ვაგონების

ადგილგადანაცვლება ზოგჯერ შეიძლება ისე მოახდინო, რომ ამას სამსახურებრივი ადგილგადანაცვლებაც მოჰყვეს. აბა ამას გულუბრყვილო მგზავრი როგორღა მიხედება? ი. ჯაფარაშვილმა იცის ეფექტიანი განკარგულების გასაცემად მომენტის შერჩევაც. მას ხომ ხელთა აქვს ბორჯომის სადგურზე თავშეყრილ მგზავრთა მოთხოვნა დამატებითი შემადგენლობის გაგზავნაზე, რომელიც 10 იანვრის რიცხვითაა დათარიღებული? ბორჯომი არცთუ ისე შორსაა ხაშურიდან. ხოლო ხაშურს ახლოს, ქვიშხეთში, სწორედ 10 იანვარს, გზის უფროსის მოადგილე ქარუმიძის სიდელრს ასაფლავებენ. ჰოდა, განა ცუდი იქნება გორი—თბილისის მატარებლის ერთი ვაგონმორტორიანი სექცია გორში მოახსენევის და ქვიშხეთში მიგვაროს თავისი უფროსის სტუმრობის? იცის ი. ჯაფარაშვილმა, ოდესღაც იმერელი აზნაურები ბეხრეკაცხენებით რომ დაჩინდრიკობდნენ ქელეხებსა და ქორწილებში. ახლა კი თანამდებობის პირები დაწესებულების „პობედებით“, „მოსკვიჩებითა“ და ავტობუსებით იწონებენ თავს. აბა, ვის ჰქონია ბედნიერება სამვაგონიანი მატარებლით მოეწონებინოს თავი ნათესავებისა და ნაცნობების წინაშე? ამას მოფიქრება უნდა თუ არა!

— მერე, ბორჯომში მომლოდინე მგზავრები?— იკითხავთ თქვენ.

— ალბათ მეთხილამურეები არიან, სპორტსმენები. ისინი ადვილად იტანენ ზამთარს. — სიტყვას მოგიჭრით ი. ჯაფარაშვილი.

არათფერი ეთქმით გრაკალის სადგურზე აფორიაქებულ მგზავრებსაც. თბილისის განყოფილების დისპეტჩერს ხიტარისა კი ეთქმოდა და იგი აყვირდა კიდევ:

— ბრძანება არ მაქვს, სექციას ვერ მოგხსნი!— აბა, უბრალო დისპეტჩერს როგორ შეეძლო გამოეცნო ი. ჯაფარაშვილის შორსმჭვრეტელური ზრახვანი? ელმავლების დეპოს უფროსმა კარგად იცის, რომ ა. კიპაშვილი გზის უფროსის მოადგილე ქარუმიძეს დიდ პატივსაცემს და ერთი სექციის ქვიშხეთში გაგზავნაზე უარს არ იტყვის.

... და დაატრიალეს ხაშურის ქვეგანყოფილების დისპეტჩერი წიქორიშვილი, წიქორიშვილმა კი— ტელეფონის ყურმილი და დაუკავშირდნენ კიპაშვილს. ამ უკანასკნელმა არც აცივა, არც აცხელა ამ შუა იანვარში და ბრძანება აფრინა— მატარებელ № 101-ს



— რა უკბილოდ ხუმრობს ჩვენი კონფერანსიე.  
— გუშინ ორი კბილი ამოვუღე.

ერთი სექცია მოხსენით და ხაშურში გამოგზავნეთო. იფრინა, იფრინა ბრძანებამ სელექტორიდან სელექტორამდე და გრაკალში დაეწია მატარებელს...


ხიტარია, როგორც დაბრკოლება, მოიხსნა, სექცია № 1173 მოხსნეს შემადგენლობას, მატარებელ № 3502-ს გამოაბეს და ხაშურის გზას გაუყენეს. მერე და ამის გამო მატარებლები რომ გრაფიკიდან ამოვარდნილიყვნენ? ამოვარდნილიყვნენ რა, ოღონდ ი. ჯაფარაშვილი და ა. კიპაშვილი უფროსის წინაშე სირცხვილში არ ჩავარდნილიყვნენ. იმასაც ამბობენ, ქარუმიძეს ამის შესახებ არაფერი გაუგიაო. თუმცა რა უნდა სცოდნოდა ასეთი გამჭირახი ხელქვეითების ხელში?

იმ საღამოს ქვიშხეთიდან—თბილისში საგანგებო მატარებლით ჩამოსული მოტირალეები ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— არ გვაამეს, კაცო, ამ დალოცვისშეიღებმა?

აბა, იმათ საიდან უნდა სცოდნოდათ— ვინ ვის აამა!





ოდის კახეთის მატარებელი... მოდის ნელა, ასე გგონია, შემანქანებ საქვიფოდ დამჯდარ კახელებს უფროთხილდება, ხელში მომარჯვებული ქიქიდან ღვინო არ დაღვარათო; შეუცვლელი სიჩქარით მიუყვება ჩალაუზნის აღმართს...

— ლოგინები ვისაც უნდა, ჩაახველოს.— გაჭკივის გამცილებელი... მაგრამ ვის სცალია ჩვენს კუბეში ლოგინებისათვის, ათასნაირი ხორავით დატვირთულ ჰორიზონტალურად მუხლებზე შემოდგებულ ჩემოდანს შემოსხდომიან თელაველი და გურჯაანელი რკინიგზელები და უღვაშეობით მოღუნულ შოთებებს აქეთ-იქიდან ექაჩებიან... გარეთ კი წვიმს შეუსვენებელი, ცივგომბორის მთებზე ჩამოდინილი ღრუბლები ფხვნიანად მოსდევენ მატარებელს... მაგრამ განა ეს შეუშლის ხელს ჩვენი ვაგონის მხიარულ განწყობილებას! რკინიგზელებიდან მხოლოდ ერთს, გამხდარ გურჯაანელს არ მოსწონს წვიმის სიკრუპე. შუბლი თანჯარაზე აქვს მიღებული და ოცნებით წვიმიან ღრუბლებში ცურავს.

— დალიე, გიგა, რამ დაგადღმა, ძმარი ხომ არ არის, კრიქას იქით რომ არ უშვებ!

— აბა, რა გითხრათ, ძმებო, წვიმს და...  
— მერე და იწვიმოს, შენ რა გენალულებო. საგარეჯოს რკინიგზის სადგურის ბაზარში ხომ არა ვართ, ტალახიდან ჩვენს გამოსაყვანად თოვლები დაჭირდეთ, რა მოხდა?!

— აბა, რა ეთქვა... წვიმს და...  
წვიმს, მაგრამ ამ ბუნებრივ მოვლენას განა შეუძლიან დაარღვიოს ჩემი მეზობლების მხიარული განწყობილება. ჭიქას ჭიქაზე სცილიან გამხიარულებული რკინიგზელები და ერთმანეთს საალერსოდ ათასნაირი სახელებს თავაზობენ.

— ამ სადღერძელს ვინც არ დაღვეს, ისე დაშრეს, როგორც ვაჭრეთიდან ჩაილურამდე საეჭრომობილო გზაზე ამ ათი წლის წინათ გამოყვანილი წყაროებია დამშრალი.

— შენ რომელ წყაროებზე ამბობ მაგას, ნიკა?!

— რომელსა და, აი, წყაროს აუზ-მილი რომ ააშენეს და წყლის მიყვანა რომ დააეწყდათ, ისა!

— მე რომ არ მინახავ...  
— როგორ არ გინახავს, აღამიანო, ამ ხუთი წლის წინ კინოშიც არ იყო, რომ გვიჩვენეს...

— სწორედ მაგდენი წელი იქნება, რაც კინოში არა ვყოფილვარ.— დაიტრახება თელაველმა აბელამ.  
— რას ამბობ, კაცო? აბა, სადა ცხოვრობ, რომ კინოს უკრ ნახულა?

— თელავის სადგურში, ჩემო ნიკა, ჩემი დაბადების დღეს, 1926 წელს დაიწყო ჩვენმა რკინიგზის სამმართველომ კინოს მშენებლობა და დღესაც დაუმთავრებელია: თანჯარა იმის არა აქვს და კარები. წვიმა ისე ჩამოდის, თითქოს თავახდილი ყოფილიყოს კინოს გულისთვის; აბა, შუალამისას თელავში სამი კილომეტრის მოშორებით ხომ ვერ წავალ?

— ვერ წახვალ... მართლაც, რომ ვერ წახვალ... მაგრამ მაინც კარგად ყოფილა თქვენი საქმე; ჩვენ კლუბში კი არა, სახლებში ჩამოგვდის წყალი, ჩემო აბელ. 15 წელიწადია, რაც ჩვენი დეპოს სახლი არ შეუკვებიათ. იატაკი ჩვენ სახლს აღარა აქვს და ქერი. ამას წინათ ჩვენს მეზობელს თენგიზ გოგიაშვილს სათაფსო ჩამოეგზა თავზე, დამტვრეულ ფიცრების გროვაში ისე იყო ამოგანგლული, ქორითდა ვიცანით... მოდი, მაშ, ძმებო, ჩვენს უფროსებს თბილისში გაუმარჯოს და გურჯაანში კიდევ— ჩვენი სარემონტო კანტორის უფროსს ვლადიმერ ობოლაშვილს! ალავერდი შენთან ვარ, გიგა...

— არ მინდა, ძმებო, წვიმს და...  
— რას აინიჩე ეს სიტყვა „წვიმს!“ იწვიმოს, შენ რა გენალულებო, არ ვიცი!

— წყალი ჩამოდის, ნიკა, და...  
— სადა, კაცო, აბა გვაჩვენე, რატომ აქამდე არა თქვი, რა უთქმელი კაცი ხარ!

შეჭვიფიანებული რკინიგზელები აფუსფუსდნენ, მარბაცითა და ხუნწით ძირიდან ქერამდე შეამოწმეს კუბეში ყოველი კუნკული, მაგრამ ვერაფერი ნახეს და უკმაყოფილოდ გიგას შეაჩერდნენ.

— აბა, სად ჩამოდის, კაცო?!

— აქ არავითარი წვიმა არ ჩამოდის!

— აქ კი არა, ჩვენს სახლში, გურჯაანში, საორთქლმავლო დეპოს გვერდით მოთავსებულ №18 რკინიგზის სახლში ჩამოდის წყალი და ცოლ-შვილი მეცოდება...

— გურჯაანში? სახლში? ჰოო... ჩვენთანაც ჩამოდის, გიგა...  
— გურჯაანელმა დეპოელებმა ამღვრეული თვალებით გახედეს თანჯარას და მომარჯვებული ქიქები ძირს დაუშვეს. მატარებელმა ვაზიანის სადგურს მიაკივლა. გამცილებელი ვართანა კარგი პატარძლივით გვიდა ვაგონს...

გ. კახელიშვილი

### საკვანძო საქმე

სამტრედიანში საკომისიო მაღაზიის გამგედ მუშაობს ვეტტექნიკოსი ა. კვანტალიანი.

ნან. ვ. კუმბურდიისა



— რა გინდა საკომისიო მაღაზიაში ვეტტექნიკოსს?  
— რატომ, აქაც საქონელთან მაქვს საქმე!



# საქართველო

რამდენიმე დღის წინ მე შემთხვევა მომეცა ახლო გავცნობოდი ნიკანდროს, რომელსაც აქამდე მხოლოდ სალმით ვიცნობდი. იგი ჩვენს ეზოში ცხოვრობს, პროფესიით ფიზიკოსია, დიდი ხანია, რაც ახალგაზრდობას გამოეთხოვა და უცხოლოდ ბერდება. ეზოში ყველა ერიდება ამ ახმახ კაცს, რომელსაც სახეზე მუდამ უკმაყოფილების ბეჭედი ახის.

კინოს ბილეთების რიგში ვიდექი, როცა ნიკანდრო მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა:

- მოგვიწვევს ვითომ ბილეთები?
- მოგვიწვევს,—მივუგე მე.—რიგი არაა მაინცდამაინც დიდი.

ნიკანდრო მოუსვენრად შეტოკდა და თქვა:

— ტყუილად ვდგავართ, ნამდვილად არ მოგვიწვევს... უმჯობესია გადავცე ვინმეს ფული.

საბედნიეროდ, ფიზიკოსის შიში უსაფუძვლო გამოდგა. ორივემ ბილეთები ავიღეთ და კინოში შევედით. მოსაცდელ დარბაზში ორკესტრი უკრავდა.

— დაესხდეთ და მოვუსმინოთ,—შეეთავაზე ნიკანდროს.

— ისლა მაკლია ახლა მაგათ ჯამბაზობას ვუყურო,—მომახალა ნიკანდრომ და მეორე სართულზე ასასვლელ კიბისკენ გასწია. გაოცებული დავედევნე უკან.

— განა ღირს სმენის დატვირთვა თანამედროვე მუსიკის უბადრუკი ბგერებით?—დაიწყო ნიკანდრომ, როცა მე გვერდით ამოვუღექი.—მუსიკალურმა კულტურამ თავისი განვითარების ხენიტს ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიაღწია და ახლა დეგრადაციის გზით მიექანება. თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ თანამედროვე ოპერას, რომელიც შეიძლება დაყენონთ ვერდისა და ჩაიკოვსკის ოპერების გვერდით... მერწმუნეთ, კაცობრიობამ უკვე დაამუშავა ყოველგვარი მელოდია.

ნიკანდროს უღმობელი გალამპრება თანამედროვე მუსიკის წინააღმდეგ იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ სიტყვა ვეღარ დამეძრა; ის კი განაგრძობდა:

— სხვათა შორის, ასეთსავე სავალალო ყოფაშია აგრეთვე თანამედროვე მწერლობაც. პოეზიამ დღეისათვის თითქმის მთლიანად ამოწურა ლექსთწყობის ფორმები, ხოლო პროზამ დიდი ხანია დაამთავრა განვითარება...

— პატივცემულო ნიკანდრო!—შევაწვევტინე მე.—თქვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ ამჟამად ხელოვნება არა გვაქვს. მე მგონი, ცდებით!

— ყმაწვილო!—წყრომით წამოიძახა ნიკანდრომ.—თქვენ ჯერ კიდევ ბავშვი ხართ იმისათვის, რომ ჩემი ხნის კაცს კჶლა ასწავლოთ!.. რაც შეეხება პროგრესს, მე არ უარყვოფ მას გარკვეულ სფეროში, მაგალითად ტექნიკაში. სხვათა შორის, მე კინოშიაც იმიტომ დავდივარ, რომ კინო თავისი სპეციფიკით ტექნიკასთანაა დაკავშირებული.

ნიკანდრო წამით მიყურდა, მაგრამ ფოიეს კედლებზე დაკიდული სურათების დანახვამ მასში ხელახალი „ალტყინება“ გამოიწვია.

— აი კიდევ ერთი მაგალითი: თანამედროვე მხატვრობა! მომიტე-



ვეთ, მაგრამ ეს მხატვრობა კი არა, რალაც უმსგავსობაა... განა შეიძლება ფუნჯის ტელში აღუბარებმბრანდტისა და როდენის შემდეგ მხატვრობა?

— როდენი რა შუაშია?—შევიწინე მე.

— როგორ თუ რა შუაშია!—იწყინა ნიკანდრომ.—როდენი ხომ გამოჩენილი იტალიელი მხატვარი იყო!

ცოტა არ იყო, დავიბენი; დღემდე მე ვიცნობდი როდენს, როგორც ფრანგ მოქანდაკეს, დღეს კი!..

მეხსიერებაში აღვადგინე ნიკანდროს მოსაზრებანი და უცებ ჩემთვის ნათელი გახდა ყველაფერი.

— პატივცემულო ნიკანდრო!—მივუბრუნდი „ხელოვნებათმცოდნე“ ფიზიკოსს,—წვლან თქვენ შეაქეთ ვერდის ოპერები. საინტერესოა: რომელი მოგწონთ მათ შორის ყველაზე მეტად?

ნიკანდრო დაფიქრდა და ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მიპასუხა:

— ვერდის ოპერები ყველა მომხიბლავია, მაგრამ მე განსაკუთრებით „კარმენი“ მომწონს...


მთელი ძალ-ღონის დაძაბვა დამჭირდა იმისათვის, რომ ღიმილი შემეკაგებია. ჩემი ვარაუდი მართლდებოდა და მეც გადავწყვიტე ბოლომდე მიმეყვანა გამოცდა:

- გინახავთ ეს ოპერა?
- მინახავს, მხოლოდ ეკრანზე. აბა, ოპერაში ქუდი რომ შემიგდოთ, შიგ არ შევალ... უნიკო მომღერლებითაა სავსე.
- ჩაიკოვსკის ოპერების შესახებ რა აზრისა ბრძანდებით?
- ჩაიკოვსკის?—გააგრძელა ნიკანდრომ.—კარგია „სადკო“, „ვევნი ონგინი“.
- „ვევნი ონგინი“ პუშკინის ოპერაა,—ფრთხილად შევაპარე მე. ნიკანდრომ იკვნეულად შემომხედა და გაუბედავად წაიბუტბუტა:

— კი, მაგრამ... პუშკინი ხომ მწერალი იყო?.. თუმცა, წინათ რალაც უნივერსალური ადამიანები იბადებოდნენ. — ნიკანდროს ხმასკვლავ დაუბრუნდა ძველებური რიხი.—აიღეთ, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩი! ეს გენიალური პიროვნება ერთდროულად მხატვარიც იყო, პოეტიც, ფიზიკოსიც... ბოროდინი კიმიკოსი გახლდეთ, მაგრამ ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც ოპერა „ბორის გოდუნოვის“ ავტორს... ჩემოვი ექიმი იყო, რამაც მას უდავოდ შეუწყო ხელი „მკვდარი სულების“ შექმნაში...

აქ კი ვერაფრით ვეღარ შევიკავე თავი და ხმამალა გავიციენმინდოდა მეკითხა „წყნარი ღონი“ თუ წაგიკითხავს, ან შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებს თუ იცნობ-მეთქი, მაგრამ ნიკანდრო თითქოს მიხვდა თავის უვიცობას, გაბრაზებით გადმომხედა სათვალეებს ხემოდან, მერე ხელი ჩაიქნია და პარტურში გაუჩინარდა. მე ამფითეატრში ავედი და უკანასკნელ რიგში თავისუფალი სკამი მოვქებნე. აღარ შემემლო მომბაზვრებელი სკვატიკოსის აზრების მოსმენა, აღარ მინდოდა დარჩენა იმ კაცის გვერდით, რომელიც ალბათ იმიტომ არ დაქორწინდა, რომ თანამედროვე ქალბში ვერ მოძებნა ლედი ჰამილტონის მსგავსი საცოლფე.

ნან. ბ. მიხაილოვისა



ქ. თბილისში სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს ასამდე სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაცია, რაც იწვევს მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების დაქაჩვას, მშენებლობის ვადების გაჭიანურებას, სამუშაოთა ღირებულების ზრდას და სხვა.

# საბავშვო ნიანგო



## აგვალიდან ფოთამდე და უკან!

## საყვარელო ნიანგო!

აი, აქვე, როგორც იტყვიან, ყურის ძირში მოხდა ეს ამბავი: აგვალის ფოსტაში მოქალაქე ლისენკომ ოფლით მონაგარი 400 მანეთი შემოიტანა, ითხოვა, დაუმხარეთ, ჩქარა გაიგზავნეთ, ფოთში ბავშვი პურის ფულს ელისო.

დაამწვიდეს, ფული ჩაიბარეს, ქვითარი ჩააბარეს და დაიხდებოდა გაისტუმრეს, — დროზე მიიღესო.

დროც გავიდა, „ქაშიც“ თან მიჰყვა, ფოთიდან წერილი მიიღო ლისენკომ: „ფულს მოითხოვდნენ. არ მიგვიღიაო, — ატყობინებდნენ. ლისენკომ აგვალის ფოსტას მიაკითხა.

— რა გული გაგვაწვაღე? ფული გადაგზავნეთ, თან ხომ არ გავეცებოდით. დაიკადე, აღბათ მიიღებო, — „გულისხმებოდა“ დაამწვიდეს ლისენკო. გაგზავნელმა დაიკადა, მაგრამ აგვალის ფოსტაც იცდიდა. რომ არაფერი გამოირკვა, კვლავ მიაკითხა აგვალის ფოსტას. ბევრი დამადღების შემდეგ, აგვალები შეეკითხნენ ფოთს.

რა დაგვიარგავს, რას ვქვამ?

— აგვალიდან ლისენკოს სახელზე არავითარი ფულის გზავნილება არ მოსულაო, — მოვიდა „დამამწვიდებელი“ პასუხი. ეს პასუხი კი როგორც ზედავ, ძმად ნიანგო, ლისენკოს ბავშვს პურის ფულად არ გამოადგებოდა.

ახლა თბილისის ფოსტამტს მიაკითხა ფულის პატრონმა. არც იქ აღმოჩნდა. დრო გადის, მიმდები სტირის, გაგზავნილი ჩივის, აგვალის ფოსტის მუშაკები გულდამწვიდებით შესცქეროან პატრონის წუწუნს.

— სად დაიკარგება, აქედან თბილისის ფოსტამტს გაივლის და, როცა იქნება, მიიღებო, — უპასუხებენ.

ხომ არ უნდა ვუთხროთ ლისენკოს, რომ მან ჩაიტყვა რკინის ქალამნები და აგვალიდან — ფოთამდე ყველა ფოსტას ჩამოუაროს თავისი ბავშვილის მისაგზავნად?

დაგვე სიკეთე, ძმად ნიანგო, და შეეკითხე აგვალის ფოსტის მუშაკებს!

ს. ხანიძე

თერჯოლის რაიონში შენმა მოლოდინმა გაგვაკლარავა. გვიდა დაგატაროთ ჩვენი კობტა სოფლები, გასაფხულის ეშხით დაგატაროთ, გათქმევივით — რა კეთილმოწყობილი გზები გქონიათო.

მაშინ კამათსაც დაგიწყებდით:

— შენ მარტო მთავარ გზებს ნუ უყურებ, სადაც „ზომიდან“ დაწყებული, ყველა მარკის მანქანები დანავარდობენ, ერთი ცუდადების, ან ზედა და ქვედა რობაქიძეების უბანშიც გაიარე, თუნდ ფეხით გასეირნება სცადე და გაიგებ, როგორ ესმით ჩვენს სოფსაბჭოს თავმჯდომარეს (შ. რომაქიძეს) და საგზაო სექციის ხელმძღვანელს (გ. ლანგაას) გზების კეთილმოწყობის საქმე.

— აქ ან წიქვილებში როგორ მიგაქვთ საფქვაგი, ან ღამე როგორ დადინართო? — შეგვეკითხები, როცა სადმე ფეხი ჩაგივარდება, ან ტალახში ამოისერები.

ჭოდა, ჩვენი მაგისტანა შეკითხვებს ვაძლევე ჩვენი სოფლის მესვეურებს, მაგრამ რა გამოდის? ისევ შენ თუ წამოგვაშველებ სიტყვას, ძვირფასო ნიანგო, თორემ სოფ. სიქთავრაში გზების კეთილმოწყობაზე ფიქრი მივიწყებულია.

## ნ. მახათაძე

## ძმად ნიანგო!

ხომ მოგხსენება, ნოსირი ერთ-ერთი დიდი სოფელია ცხაკაიას რაიონში. აქ გავრთიანებულა სამი კოლმეურნობა 1000 კომლით და მცხოვრებთა რიცხვიც მრავალ ათასს აღემატება.

სოფლის კეთილმოწყობაზე ვერ იტყვი საყვედურს, მაგრამ აი, რკინიგზის ბაქანი რომ მთლად ხელიდან წახლდა და მოუწყობელია, ამაზე კი ბევრი გვაქვს საბოდიშო.

ბაქანი არა აქვს არც მოსაცდელი, არც ელექტროგანათება, არც სკამები. არის ძველი ფარფული, ოდესღაც რკინიგზის პირველად გაყვანის დროს გახენილი, და ამჟამად უკვე დაჩაჩანაკებული.

იქნებ ამ სიძველის გამოა, ძმად ნიანგო, თბილისიდან სოხუმს მიმავალი მატარებელი გაჩერებას რომ არ კადრულობს და სოხუმში წამსვლელებს სხვა გზებს გვიძებნივებს?

გასულ წელს, ხომ გახსოვს, აქ რკინიგზის სამმართველოსა და ცხაკაიას რაიონმსკომის

წინაშე რომ აღმართო შუამდგომლობა ბაქნის კეთილმოწყობაზე, ა/კ რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო განყოფილების უფროსმა ამხ. კიპაშვილმა მაშინვე გვაგვამოწმოს თუ თავივადურებით, გვემაში არა გვაქვს მთლიან ბაქნის კეთილმოწყობა გათვალისწინებული 1957 წელს კი ჩვენი თავი უკვე გვეწყალოდაო.

მაგრამ აი მიმოინარე წელიწადი თავის ტიპით მიღის, მატარებელიც თავისი განრჩევი დაიარჩიან, ხოლო ნოსირის ბაქნის მოწყობაზე კი არავინ ხრუნავს.

აბა, ერთი პირი უკითხე, ძმად ნიანგო, ნოსირელები გვრებად ხომ არ მიგაჩნივართ ა/კ რკინიგზის სამმართველოს?

გ. ზანათელი

## ნიანგი რამხარა

„ნიანგმა“ ა/წ. № 3-ში მოთავსებულ მახალაში „აი, მუშაობას“ ამხილა სახანაის კალინინის რაიონის განყოფილებაში აღრიცხვისა და საქათო ოპერაციების დარღვევის შემთხვევები.


სახანაის თბილისის კალინინის რაიონ-ყოფილებს მმართველი ამხ. კაპარავა გვატყობინებს, რომ „ნიანგში“ მოთავსებული მახალა მთლიანად დადასტურდა, სათანადო აღმინისტრაციული სახვეული დაედო სადარიცხო-ოპერაციული დარგისა და სალაროს პასუხისმგებელ მუშაკებს.

„ნიანგის“ მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი ამჟამად გამოსწორებულია მთლიანად.


## „ქაბო. მუხრანისაო“

„ნიანგმა“ № 4-ში ამხილა სოფ. მუხრანის კლუბის მშენებლობის გაუიანურებისა და კულტმასობრივი მუშაობის ჩაშლის ფაქტები.

საქ. კ. მცხეთის რაიკომის ბიურომ განიხილა და მთლიანად დადასტურა „ნიანგში“ მოყვანილი ფაქტების სისწორე. რაიკომმა დასაბა საჭირო ღონისძიებანი. დაავალა მუხრანის სახ. საბჭოს თავმჯდომარე იორდანიშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს ოსკანოვს, კულტსახლის დირექტორს ზედია-ნიშვილს ერთი თვის ვადაში დაამთავრონ კულტსახლის მშენებლობა.



უბექტო ხუმრობა



ნახ. ვ. კუმბურდიისა

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, დ. ვაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ.სპ. № 42 ბელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 9, ხელმოწ. დასაბ. 6 V-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტის“, ლენინის ქ. 14. შეფ. № 550. უფ. 00909. ტირ. 30.000.

ამერიკის დეპარტამენტმა პირდაპირი მითითება მისცა ნატოს  
ქვეყნებში აკრედიტებულ თავის ელჩებს—ყოველმხრივ წინ აღუდგ-  
ნენ ამ ქვეყნების ახალგაზრდების გამგზავრებას ახალგაზრდობისა და  
სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში.



სპორტსმენებმა ყველა ბარიერი გადალახეს. იმე-  
დია, ამ უკანასკნელ ბარიერსაც წარმატებით გადალახავენ.